


4  
1965

ქართული  
ბიბლიოთეკა

ნინამა თვისი ჩანალი  
სპეციალურად გალესა,  
საპილო როგორ ეზოვნა, —  
დღეც ფიქრობდა და ღამცა.

დიდ მშენებლოებს ესტუმრა,  
გვერდი ჩხრიტა და ეძია,  
ვერაფერი ვერ იკოვნა,  
(კოვნა ხომ იცით, ბედზეა!).



ნინანი განა დალონდა  
გულღვარქლიანი კაცივით;  
თქვა: „ოღონდ ნაქლი მორისკოს  
და ჩემს საპილოს არ ვჩივი!“

რა უნდა გაუპრიტიკო  
ჩაის და ყუჩქნის ოქროს მთებს;  
მებრეს ცუფს მაინც ვერ იტყვი,  
ცხრა მებერი ენაც რომ გჟონდეს!



აღმა და ყდა დაიფხვენა  
სულ დადებითი მასალით,  
რუსთავეის ჰიმნოგრაფიით  
და ენგურჯვის კაზხალით.



მებროთი. ახალ სასტუმროს  
ცამდე ასული საკთულით,  
ფილარმონიის შენობით,  
ავტომობილით კართულით.

ნინანს ახარებს შენების  
ასეთი მხარგაუღილობა  
და ესაღმება პარტიის  
ოცდამესამე ყრილობას!



№ 6 (1232) თბილისი, 31401 1966

# ნინანი

გაერთიანებული 49-0 ფილი. შანი 20 კპ.



ნ. ა. მალაფონინი













# აზიჯ ნასილი ქრთი კასკოთიჯი ბნუბი შ 1 2 3 4 5 6 7 8

ერთ-ერთ კლასში მიმდინარეობს ზნეობის გაკვეთილი.

— ბავშვებო, ზნეობრივი სიმდიდრე ძალიან კარგი თვისებაა. ცუდია, როცა ადამიანები მოკლებულნი არიან მას!

— მასწავლებელო!

— რა მოხდა?

— ჩეტინას შეხედეთ!..

— სიჩუმე! ყოველი ადამიანი ვალდებულია იყოს მაღალი ზნეობრივი თვისებებით აღჭურვილი. ძნელია დათვალო ყველა ის სიმდიდრე, რომელსაც მაღალზნეობრიობა იძლევა. მაგრამ თუ ადამიანი უზნეოა... ეს ძალიან ცუდია!

— რატომ, მასწავლებელო?..

— ყველა ამბობს: „ეს ადამიანი უზნეოა“, უზნეოა კი საზოგადოება. ამიტომ ზნეობრივად მდიდარი უნდა იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თქვენ სპეციალური გაკვეთილებიც კი დაგინიშნეს. ასე არ არის, ბავშვებო? განა ჩვენ ცუდ რამეს გასწავლით? მაღალი ზნეობის შემდეგ კი... დიან... ჰმ... ჰოდა... რაზე შეეჩერდით?

— თქვენ თქვით, რომ ეს ძალიან კარგი რამეა.

— დიან, ძალიან. შეიძლება დაინტერესდეთ, რატომ, ან რა საფუძველზე ვამბობთ ჩვენ ამას? მე კი გიპასუხებთ — ყველა დიდი ადამიანი ამბობდა: ზნეობა ძვირფასი რამ არისო!..

— მასწავლებელო!

— რა მოხდა, რაშია საქმე?

— უთხარი რა ალტანს, რას მეჩიკეებთა?

— წყნარად, ბავშვებო, ყურადღებით იყავით! მე თქვენ წიგნიდან წაგიკითხავთ ზნეობის განმარტებას: „ყოველი ზნეობრივი — ეს ნიშნავს უგულვებელპყრო ის მიმართულება, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოების წესებს, ჩვევებსა და ტრადიციებს“. გასაგებია, ბავშვებო? თქვენ ვალდებული ხართ დაუფეროთ უფროსებს და მათს მავალითვე გაიზარდოთ. აბა, სუნაი, ადვილი და მიპასუხე — სპეკულანტობა განა კარგი საქმეა?

— ძალიან კარგი, მასწავლებელო!

— ეს რა თქვი?!

— რა თქმა უნდა, კარგია! იგი ყოველმხრივ ემთხვევა ზნეობას.

სხვას რომ თავი დავანებოთ, საზოგადოების უმრავლესობის წინააღმდეგ ვალაშკრებაც ხომ უზნეობაა. აქედან გამომდინარე, ყველა მაღალი ზნეობის ხალხი სპეკულანტობისაგან შედგება...!

— როგორ თუ სპეკულანტობისაგან?!

— პატიოსნებას გეფიცებით, ასეა. ყასაბი, დახლიდარი, ხილის გამყიდველი და სხვები, ყველანი სპეკულანტობენ. მე ერთი მდიდარი ნაცნობი მყავს. მამამ მითხრა, რომ ის ადრე თურმე სპეკულანტობდა. რამდენიმე დღის წინათ ჩვენ იმ ნაცნობთან ვიყავით სტუმრად. მან თქვა, რომ ზნეობრივი კაცი ყველაფერს მიაღწევს. მე როდესაც გავიზრდები, უსათუოდ მაღალზნეობრივი კაცი გავხდები და არავითარ შემთხვევაში ისეთი უზნეო, როგორც მამაჩემია.

სი სუფთა არა აქვს?! ყველა დიდი ადამიანი მაღალი ზნეობის იყო.

— ეს ადრე იყო, მასწავლებელო! ჩვენს უბანში ერთი დიდი კაცი ცხოვრობს, სამი კადილაკი ჰყავს, ბამბის მეფეს ეძახიან და თანაც...!

— მე თქვენ დიდ ადამიანებზე გელაპარაკებით, დიდ სწავლულებზე, მოაზროვნეებზე, შიშველებზე... მაგალითად, სოკრატე...!

— მე ვიცნობ სოკრატეს, მასწავლებელო!

— რა თქმა უნდა, იცნობთ!..

— ჩვენგან ცოტა მოშორებით პატარა ფარდული აქვს, ძალიან პატიოსანი კაცია.

— მე თქვენ ძველ ბერძენ ფილოსოფოს სოკრატეზე გელაპარაკებით. ბავშვებო, იყავით ისეთივე



— გაჩუმდი, მამის შესახებ!..

— მე მაინც ვიტყვი... იგი ბინის ჭირასაც არ იხდის...!

— ახლავე დაქვები ადგილზე... ბავშვებო, არასოდეს არ გახდეთ უზნეოები.

— მასწავლებელო!

— თქვი, ერგუნ.

— მასწავლებელო, მე მყავს ბიძა, რომელმაც თქვა, რომ, თურმე, ზნეობით გაძლიმა შეუძლებელია. მე უსათუოდ უზნეო გავიზრდები.

— შენი ხმა არ გავიგონო, ერგუნ! აბა, ბავშვებო, თუ ადამიანი უზნეოა, რას ვეძახით ჩვენ მას? აბა, ყველამ ხმამაღლა და ერთხმად!

— უზნეო-ოო!!!

— ყოჩაღ, ბავშვებო, სწორია! ადამიანს შეიძლება მიღობინე! ჰქონდეს, მაგრამ, რას წარმოადგენს ის მილიონი, თუ მას სინდონი

მაღალი ზნეობის ადამიანები, როგორებიც იყვნენ სოკრატე, არისტოტელე, გალილეი...!

— მასწავლებელო, ვითომ ჩვენს ნაცნობ სოკრატეზე უფრო პატიოსანი იყო თქვენი სოკრატე?

— ბავშვებო, ზნეობასა და სიმდიდრეს შორის არავითარი კავშირი არ არის. ისტორიამ მრავალი მაგალითი შემოგვინახა იმისა, თუ დიდმა ადამიანებმა შიმშილით სიკვდილი როგორ ამკობინეს სინდისისა და პატიოსნების შებღალავას.

— თუ ასეა, მასწავლებელო, თქვენი ზნეობა დიდი ვერაფერი შვილი ყოფილა.

— პირიქით. ბავშვებო, მაღალი

ზნეობის ადამიანს არ ეშინია სიმართლის თქმისა.

— მე კი ერთი ბიძა მყავდა, მასწავლებელო, სიმართლის თქმის გულისათვის სამსახურიდან მოხსნეს.

— ეს სხვა საქმეა, ბავშვებო! მე ხომ პოლიტიკაზე არ გესაუბრებთ. მე გიხსნით ზნეობის საკითხებს. აბა, თრუზ, მიპასუხე, გეთაყვა, ტყუილის თქმა კარგია თუ ცუდი?

— ტყუილის თქმა თუ გეხერხება, მაგას რა სჯობია, მასწავლებელო! მე რომ სახლში არ ვტყუოდი, ყოველ საღამოს მომხედებოდა.

— ბავშვებო, მე ხომ გითხარი, რომ მაგალითი უფროსებისაგან უნდა აიღოთ!

— რა თქმა უნდა, მასწავლებელო! ჩემი და დედაჩემს ატყუებს, დედაჩემი — მამაჩემს, მამაჩემი კი — კრედიტორებს.

— ახლავე გაეთრიე გარეთ, შე გაუზრდელი!!

— მასწავლებელო, ახლახან არ გვითხარი, რომ სიმართლის თქმა ადვილია?

— დაჯიჯე ადვილზე! ბავშვებო, ზნეობა — ეს ძვირფასი რამ არის, ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ მაღალი ზნეობის ადამიანები. მაგალითად, დაპირებული ყოველთვის უნდა შეასრულოთ!

— მასწავლებელო, მამამ მითხრა, რომ ერთი ბიძია, მე ახლა იმის სახელი აღარ მახსოვს... ჰოდა, იმ ბიძიამ თქვა თურმე, ცხოვრება გაიაფლებო...!

— ახლავე გაჩუმდი და ნუ ყბედობ! სადაც შენი საქმე არ არის, იქ ნუ ეჩრები! ბავშვებო, ზნეობაზე უფრო მაღლა არაფერი არა დგას. ამას თვითონ წინასწარმეტყველებიც კი ადასტურებდნენ. თქვენ რა, წინასწარმეტყველებზე უფრო კარგად გესმით? თვითონ ღმერთმაც კი იცის, თუ რა დიდი რამ არის ზნეობა!..

ზარბრ! — გაისმის ზარის ხმა.

მასწავლებელი ნანატრ შეებას გრძნობს და აკანკალებული ხელით სიმწერის ოფლს იშმენდს შუბლიდან.





დასავლეთ-გერმანული „შედევი“

გასულ წელს, დასავლეთ გერმანიაში, ბადენ-ვიურტენბერგისა და რამდენიმე მსხვილი საწარმოო ქალაქის მიერ დაწესებული იყო „გერმანიის ახალგაზრდობის მხატვრული პრიზი“. ყიურომ გულმოდგინედ განიხილა და შეისწავლა 112 ახალგაზრდა ტალანტის 290 ნამუშევარი. ბოლოს მათი ყურადღება ყველაზე მეტად მიიპყრო ფოლადისა და ბრინჯაოსაგან დამზადებულმა საგანმა, რომელსაც მიმზიდველი იტალიური წარწერა — „სტერკო დელეფანტე“ ამშვენებდა. ყიურომ ერთნმად აღიარა ეს ნამუშევარი საუკეთესოდ და მის ახალგაზრდა ავტორს — იოჰენ ჰიტლმანს გადასცა პირველი პრიზი და ფულადი ჯილდო 10.000 მარკა.

დასავლეთ-გერმანული ხელოვნების დღესასწაული დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ყველასათვის გაუთვალისწინებელი არეულობა მოხდა. ერთმა მოუსვენარმა ყურნალისტმა ყიუროს წევრებს წარუდგინა იტალიურ-გერმანული ლექსიკონი. მათს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ნახეს. რომ თურმე „სტერკო დელეფანტე“ გერმანულად „სპილოს ნაკელს“ ნიშნავს.



დასვენების დღე განდობას

შვერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა, ქალბატონმა მარტა გრიფტმა სესიაზე შეიტანა წინადადება ახალი კანონის დამტკიცების შესახებ, რომელიც შემდეგ ითვალისწინებს: „დღეს არ მოხდეს ზნეობის არავითარი დარღვევა!“ ქალბატონ გრიფტის აზრით, ამ დღეს ბოროტმოქმედები დაისვენებენ. ბუნებრივია, რომ არც კონგრესმა და არც ამერიკელმა განგ-სტერებმა ყურადღება არ მიაქციეს ამ კეთილი ქალის წინადადებას.

„დემონსტრაციები“ ნალ ანგარიზზე

შვერთებული შტატების მმართველი წრეები შეშფოთებულნი არიან მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების სიხშირით. ამის გამო გადაწყვიტეს დემონსტრაციებს დაუპირისპირონ „კონტრ-დემონსტრაციები“.

კალიფორნიის ერთ-ერთ ქალაქში შერიგმა მიიღო პროსპექტი, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: „დემონსტრაციები და კო“. ორგანიზაცია ასე მიმართავს ქალაქის მცხოვრებლებს: „თქვენს ქალაქსაც შეუძლია გახდეს მღელვარების არენა. შეგვატყობინეთ მხოლოდ, რისთვის ან ვის წინააღმდეგ უნდა გამოვიდეთ. სტიქიურობის გარანტიას ვიძლევი იმ შემთხვევაში, თუ დროზე გავაფრთხილებთ (დაახლოებით სამი თვით ადრე)“.

ამ წამოწყების ავტორები არ მალავენ, რომ მათ ხალხის ნება და სურვილები არ აინტერესებთ — თითოეული დემონსტრაციისათვის ისინი საგრძნობ თანხას ითხოვენ.



რედაქტორი ნ. დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, ა. ჰელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-78-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-78

ნელმოწ. დასაბ. 15/III-1966 წ. ქაღ. ზომა 70x108 1/4 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 863 უფ. 02958 ტირაჟი 50000



